საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

დებულება დელეგატების შერჩევის პროცესის შესახებ

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა სრულად იზიარებს სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ძირითად პრინციპებს და ღირებულებებს და ფორუმის შიდა რეფორმასთან შესაბამისობაში (10.2018) წარმართავს თავის საქმიანობას დემოკრატიულად, გამჭვირვალედ და ანგარიშგების საფუძველზე.
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის წესდების 4.1 მუხლის შესაბამისად ფორუმის დელეგატები არიან აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც შეირჩევიან ორწლიანი ციკლის ფარგლებში ფორუმის ამჟამინდელი წევრებიდან და არაწევრებისგან მათი ინტერესის გამოხატვის საფუძველზე, რომელიც დაფიქსირდა რეგისტრაციის პროცესში ჩართულობით.

მანდატის ფარგლებში, შერჩეული დელეგატები დაესწრებიან თემატური სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს და ორ ყოველწლიურ ასამბლეას, ასევე ერთობლივად წარმართავენ ადვოკატირების კამპანიას.
დელეგატის შერჩევის კრიტერიუმები ჩამოყალიბებულია იმ პრინციპით, რომელიც მოიცავდეს სხვადასხვა ორგანიზაციებს აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 ქვეყანიდან და ევროკავშირიდან.

3 ხმის პრინციპი

2022-2024 წლების ციკლისთვის ფორუმის დელეგატები შეირჩევიან ეროვნული პლატფორმების წევრი ორგანიზაციების, ფორუმის სამუშაო ჯგუფის კოორდინატორებისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ევროკავშირის დელეგაციების ხმების საფუძველზე შერჩევის კრიტერიუმებისა და სტრუქტურული და თემატური კვოტების შესაბამისად.

• სამუშაო ჯგუფის კოორდინატორები რეკომენდაციას უწევენ დელეგატების რაოდენობას, რომლებიც შეესაბამება მათ სამუშაო ჯგუფის თემატურ კვოტებს.
(7 WG1; 4 WG2; 4 WG3; 4 WG4; 1 WG5)

• ევროკავშირის თითოეული დელეგაცია რეკომენდაციას უწევს 20 ორგანიზაციას თემატური და სტრუქტურული კვოტების შესაბამისად.
(7 WG1; 4 WG2; 4 WG3; 4 WG4; 1 WG5)

• ეროვნული პლატფორმის წევრები კენჭს უყრიან სიას და ირჩევენ 20 ორგანიზაციას თემატური და სტრუქტურული კვოტების შესაბამისად.
(7 WG1; 4 WG2; 4 WG3; 4 WG4; 1 WG5)

• აღმოსავლეთ პარტნიორობის სამდივნო ადგენს სიას 3 ხმით, რომელსაც შემდეგ განიხილავს და ამტკიცებს მმართველი კომიტეტი.

შერჩევის კრიტერიუმები და კვოტები:

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მიერ განსაზღვრულია შესარჩევი დელეგატების ჯამური რაოდენობა. დელეგატის შერჩევის კრიტერიუმები შექმნილია იმისათვის, რომ მოიცავდეს ორგანიზაციების დაბალანსებულ რაოდენობას აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 ქვეყნიდან (თითო ქვეყანაში ირჩევა 20 დელეგატი).

თემატური კვოტები

შერჩეული ორგანიზაციები ორგანიზებულია თემატური მიმართულებების მიხედვით 5 სამუშაო ჯგუფში.

ჯგუფებს შორის კვოტების გადანაწილება ასეთია:
I ჯგუფი: 7 დელეგატი
II ჯგუფი: 4 დელეგატი
III ჯგუფი: 4 დელეგატი
IV ჯგუფი - 4 დელეგატი
V ჯგუფი - 1 დელეგატი

სტრუქტურული კვოტები

ხმის მიცემის პროცესის დროს, ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მათ მიერ შერჩეული დელეგატებიდა, მინიმუმ 40% -ს შეადგენდეს „ახალი“ ორგანიზაციები (საერთო ჯამში 8 დელეგატი. 4 ორგანიზაციას არ ჰქონდა დელეგატის სტატუსი წინა ციკლში + 4 ორგანიზაციას არასდროს ჰქონია დელეგატის სტატუსი), ხოლო დანარჩენ 60%-ს შეადგენდნენ ხელახლა არჩეული ორგანიზაციები (ბრუნდება 12 ორგანიზაცია წინა ციკლიდან ან სხვა ციკლებიდან)

მონაწილეობის უფლება

დელეგატების შერჩების პროცესში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოს ეროვნული პლატფორმის სრულუფლებიან წევრ ორგანიზაციებს. კენჭისყრის პრიცესში, ერთი ორგანიზაციიდან ხმას აძლევს მხოლოდ ერთი წარმომადგენელი. ერთი ორგანიზაცია=ერთ ხმას.

შედეგების დათვლა და გამოცხადება

საქართველოს ეროვნული პლატფორმის სამდივნო, კოალიციის წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლებს გადაუგზავნის ფორუმის მიერ მიწოდებულ სიას, რომელშიც განთავსებულია რეგისტრაციის პროცესში ორგანიზაციების მიერ დაფიქსირებული ინფორმაციები. თანდართული სიიდან კენჭისყრაში მონაწილეები ხმას აძლევენ მხოლოდ საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი 20 ორგანიზაცია.

კენჭისყრის პროცედურა გაგრძელდება 1 კვირის განმავლობაში და შევსებული სიები უნდა გადაიგზავნოს სამდივნოს ელექტორნულ მისამართზე.

ფორუმის სამუშაო ჯგუფის კოორდინატორების, ევროდელეგაციისა და ეროვნული პლატფორმების მიერ მიღებული შედეგების შემდეგ:

- სამდივნო ადგენს სარეიტინგო სიას მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით.
- ხმების რაოდენობა შეიძლება იყოს მაქსიმუმ 3 და მინიმუმ 0 (ნული) ხმა.

ხმების დათვლის შედეგად გამოვლენილი 20 დელეგატის სია, გამოქვეყნდება როგორც ეროვნული პლატფორმის ვებ-გვერდზე, ისე ელექტორნული ფორმით გაზიარდება წევრ ორგანიზაციებთან და ფორუმის სამდივნოსთან.